

განმარტებითი ბარათი
საქართველოს კანონის პროექტზე
„სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის
თაობაზე“

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

ა.ა.ა) პრობლემა, რომლის გადაჭრასაც მიზნად ისახავს კანონპროექტი:

კანონპროექტის მიზანია საქართველოში სასაქონლო ნიშნების სამართლებრივი დაცვის მექანიზმების გაუმჯობესება და დახვეწა, ეფექტიანობისა და ერთგვაროვნების უზრუნველყოფა და სასაქონლო ნიშნების დაცვის სფეროში მოქმედი ქართული კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაცია.

„ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმებით“ (DCFTA) საქართველოს მიერ ნაკისრი ვალდებულება ინტელექტუალური საკუთრების სფეროში უფლებებთან დაკავშირებული ზოგიერთი დებულების ევროკავშირის კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანის თაობაზე, საქართველოს მიერ სრულად შესრულდა 2017 წელს, „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებით, რაც ძალაში 2018 წელს შევიდა.

სასაქონლო ნიშნებთან დაკავშირებით ძირითადი პრინციპები, როგორც არის სასაქონლო ნიშნის განმარტება, დაცვისთვის საჭირო მოთხოვნები, დაცვის ვადა, განსაკუთრებული უფლებები და მათი ფარგლები, რეგისტრაციაზე უარის თქმის აბსოლუტური და შედარებითი საფუძვლები, შესაბამისობაშია ევროკავშირის სამართალთან, თუმცა, იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იქნეს სასაქონლო ნიშნების იმავე ხარისხის დაცვა საქართველოში, როგორც ეს გათვალისწინებულია ევროკავშირის ტერიტორიაზე, სასურველია „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონი მეტად იყოს ჰარმონიზებული ევროკავშირის სამართალთან. აღნიშნულიდან გამომდინარე, კანონპროექტის შემუშავებისას სრულად გაზიარებულ იქნა ევროკავშირის კანონმდებლობა, საუკეთესო პრაქტიკა და გამოცდილება სასაქონლო ნიშნების სფეროში, კერძოდ, ევროპარლამენტისა და საბჭოს 2015 წლის 16 დეკემბრის 2015/2436 სასაქონლო ნიშნების დირექტივა და ევროპარლამენტისა და საბჭოს 2017 წლის 14 ივნისის 2017/1001 ევროკავშირის სასაქონლო ნიშნების რეგულაცია.

ა.ა.ბ) არსებული პრობლემის გადასაჭრელად კანონის მიღების აუცილებლობა:

სასაქონლო ნიშნების და, ზოგადად, ინტელექტუალური საკუთრების სისტემის განვითარება, საქართველოს მთავრობის ერთ-ერთი პრიორიტეტია, რომელიც, ასევე, წარმოადგენს „ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების“ (DCFTA) მნიშვნელოვან საკითხს. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებები ინტელექტუალური საკუთრების დაცვის სფეროში შესრულებულია, შესაბამისი ცვლილებები კი 2017 წელს განხორციელდა და 2018 წელს შევიდა ძალაში.

სასაქონლო ნიშნები ეფექტური ინსტრუმენტია, რომელიც ემსახურება ადამიანის ინტელექტუალურ-შემოქმედებითი პოტენციალის განვითარებასა და მაღალი კონკურენტუნარიანი გარემოს შექმნას, რისთვისაც უმნიშვნელოვანესია, რომ სახელმწიფოს მხრიდან უზრუნველყოფილი იყოს სასაქონლო ნიშნით დაცული სფეროს

მარეგულირებელი სათანადო, თანამედროვე და ევროკავშირთან ჰარმონიზებული საკანონმდებლო ჩარჩოს არსებობა.

დარგში არსებული გამოწვევების გადაჭრის მიზნით, ჩატარდა არაერთი სამუშაო შეხვედრა, მიღებულ იქნა არაერთი კონსულტაცია დარგის სპეციალისტებისგან, გაკეთდა საქართველოსა და ევროკავშირის კანონმდებლობის შედარებითი ანალიზი, რომელთა საბოლოო გამოხატულებასაც წარმოადგენს წინამდებარე ცვლილებათა პაკეტის შემუშავება, რომელიც განხორციელდა ევროკავშირის ინტელექტუალური საკუთრების უწყებისა (EUIPO) და საქართველოს ერთობლივი პროექტის – “EUGIPP” ფარგლებში, ინტელექტუალური საკუთრების ექსპერტების წინასწარი კონსულტაციების საფუძველზე, და რომელიც მიზნად ისახავს საქართველოში სასაქონლო ნიშნების საკანონმდებლო და ინსტიტუციური ჩარჩოს გაუმჯობესებას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონში აისახოს რეკომენდაციებში ასახული და სამუშაო შეხვედრების შედეგად შეჯერებული პოზიციები, რათა მოხდეს საქართველოში სასაქონლო ნიშნის სფეროს ეფექტიანი ფუნქციონირება, კანონმდებლობის დახვეწა და დაახლოება ევროპარლამენტისა და საბჭოს 2015 წლის 16 დეკემბრის 2015/2436 სასაქონლო ნიშნების დირექტივასა და ევროპარლამენტისა და საბჭოს 2017 წლის 14 ივნისის 2017/1001 ევროკავშირის სასაქონლო ნიშნების რეგულაციასთან.

ა.ბ) კანონპროექტის მოსალოდნელი შედეგები:

კანონპროექტის მიღებით დაიხვეწება და ევროკავშირის სტანდარტებთან მეტად ჰარმონიზებული გახდება სასაქონლო ნიშნების კანონმდებლობა. ცვლილებების შედეგად ერთი თვით შემცირდება სასაქონლო ნიშნების ექსპერტიზის ჩატარების ვადა, ასევე, გამარტივდება ექსპერტიზის პროცედურა, როგორც საქპატენტის ექსპერტებისთვის, ისე განმცხადებლებისთვის. აღსანიშნავია, რომ გაიზრდება საქპატენტთან არსებული დავების განმხილველი ორგანოს სააპელაციო პალატის უფლებამოსილებები, რაც დადებით გავლენას იქონიებს სასაქონლო ნიშნების სისტემის გამართულ ფუნქციონირებაზე. ასევე, აღნიშნულმა შეიძლება შეამციროს მხარეებს შორის სადავო საკითხების გადაჭრის დრო. მნიშვნელოვან სიახლეს წარმოადგენს სასერტიფიკაციო ნიშნების ცნების შემოტანა ქართულ რეალობაში, რაც დამატებითი სარგებლის მომტანი იქნება როგორც სფეროს, ასევე, ქვეყნის ეკონომიკური გაძლიერებისთვის. აღნიშნული საკითხის დასარეგულირებლად კანონპროექტის თანახმად, მოქმედ კანონმდებლობას დაემატება V¹ თავი.

შესაბამისად, კანონპროექტის მოსალოდნელი შედეგია ისეთი ადმინისტრაციული და სამართლებრივი ჩარჩოს შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს სასაქონლო ნიშნების როგორც ექსპერტიზის, ასევე, მისი გამოყენებისა და მასზე უფლებების აღსრულების მექანიზმის დახვეწასა და გაძლიერებას. რაც, თავის მხრივ, სარგებლის მომტანი იქნება ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისთვის.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

კანონპროექტის თანახმად, ცვლილებები შეეხება „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის არაერთ მუხლს. კანონს ემატება ახალი მუხლები, ასევე, დაემატება ახალი თავი, რომელიც დაარეგულირებს სასერტიფიკაციო ნიშნებთან დაკავშირებულ სამართლებრივ ურთიერთობებს. ცვლილება შეეხება სასაქონლო ნიშნის განმარტებას, კერძოდ, კანონის მე-3 მუხლის პირველ პუნქტს. აღსანიშნავია, რომ მოქმედი კანონით, იმისათვის, რომ სასაქონლო ნიშანი წარდგენილი იყოს სარეგისტრაციოდ, აუცილებელია მისი გრაფიკულად გამოსახვა. ევროკავშირის რეგულაციასთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, პროექტით სასაქონლო ნიშნის

გრაფიკულად გამოსახვა აღარ იქნება სავალდებულო მოთხოვნა. ცვლილებების პროექტით გაზიარებული იქნება ევროკავშირის პრაქტიკა და სარეგისტრაციოდ სასაქონლო ნიშნის წარმოდგენა მხოლოდ ისეთი ფორმით იქნება სავალდებულო, რომ ნათლად და მკაფიოდ იყოს ჩამოყალიბებული და კომპეტენტურ უწყებებს და მომხმარებელს საშუალებას მისცემს ნათლად და ზუსტად განსაზღვროს დაცვის ობიექტი, რის მიმართაც განმცხადებელს სურს წარმოემვას რეგისტრაციიდან გამომდინარე უფლებები.

ასევე, მნიშვნელოვან ცვლილებას წარმოადგენს ის, რომ შესაძლებელი ხდება ცალკე აღებული ფერის სასაქონლო ნიშნად რეგისტრაცია, რაც განპირობებულია რეგულაციასთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნიდან გამომდინარე.

ცვლილება შეეხო სასაქონლო ნიშნის საყოველთაოდ ცნობილად აღიარების საკითხს, კერძოდ, ამოღებულ იქნა არსებული კანონის მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის ჩანაწერი, რომლითაც დაინტერესებული პირის მოთხოვნით საქპატენტის სააპელაციო პალატის ან სასამართლოს მიერ ხდებოდა სასაქონლო ნიშნის საყოველთაოდ ცნობილად აღიარება. აღნიშნულის მიზანს წარმოადგენს საყოველთაოდ ცნობილად აღიარების პროცედურის რეგულაციასთან შესაბამისობაში მოყვანა. აქედან გამომდინარე, შევიდა ცვლილებები არსებული კანონის მე-5 მუხლის დ“ ქვეპუნქტში, ასევე, კანონის 28-ე მუხლში, რაც დაინტერესებულ პირებს საშუალებას მისცემს სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის შესახებ მიღებული გადაწყვეტილება გაასაჩივრონ საქპატენტის სააპელაციო პალატაში ან სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის ბათილად ცნობა მოითხოვონ სასამართლოში იმ საფუძველით, რომ ეს ნიშანი მსგავსი ან იდენტურია მისი საყოველთაოდ ცნობილი სასაქონლო ნიშნის. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ წინამდებარე ცვლილებების ამოქმედებამდე საქართველოს ტერიტორიაზე საყოველთაოდ ცნობილად აღიარებული სასაქონლო ნიშნები შეინარჩუნებენ თავიანთ სტატუსს.

არსებული კანონის ევროკავშირის რეგულაციასთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, მნიშვნელოვანი ცვლილება შეეხო სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის აბსოლუტურ საფუძველებს, კერძოდ, ამოღებულ იქნა მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი, რომელიც ითვალისწინებდა უარის თქმას ისეთი სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე, რომელიც წარმოადგენდა არასტილიზებულ ასოს ან ციფრს, ან ცალკე აღებულ ფერს. აღნიშნული გზას გაუხსნის განმცხადებლებს მოითხოვონ ასეთი სიმბოლოების სასაქონლო ნიშნად რეგისტრაცია.

ამოღებულ იქნა მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტი, რომელიც გულისხმობდა უარის თქმის საფუძველს ისეთი სასაქონლო ნიშნისთვის, რომელიც წარმოადგენს სამოქალაქო ბრუნვაში იმ საქონლისათვის დამახასიათებელ საყოველთაოდ დამკვიდრებულ ტერმინს ან სიმბოლოს, რომლის რეგისტრაციაც მოითხოვება. აღნიშნული ქვეპუნქტის გაერთიანება მოხდა ამავე მუხლის „ე“ ქვეპუნქტთან. აღნიშნული ცვლილება გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ ამ ქვეპუნქტების ცალ-ცალკე არსებობა პრაქტიკაში იწვევდა ორაზროვნებას.

მე-4 მუხლის პირველის პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდა ახლებურად და შესაბამისობაში მოვიდა რეგულაციასთან. მოქმედი რედაქცია პრაქტიკაში იწვევდა ბუნდოვანებას. ახალი რედაქციით კი ცალსახად და მკაფიოდ გაიწერება რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველი ისეთი ნიშნებისთვის, რომლებიც ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს ან მორალის აღიარებულ პრინციპებს;

ცვლილება შევიდა კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ი“ ქვეპუნქტში. აღნიშნული დანაწესი გაიყო ორ ნაწილად, კერძოდ, შეიცვალა „ი“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ჩანაწერი და შესაბამისობაში მოვიდა რეგულაციასთან და გაიწერა უარის თქმის საფუძველი ისეთი სიმბოლოებისთვის, რომელიც არ ექვემდებარება რეგისტრაციას

პარიზის კონვენციის 6^{ter} მუხლის საფუძველზე, თუ არ არსებობს შესაბამისი კომპეტენტური უწყების ნებართვა, ან მთლიანად ან რომელიმე ნაწილით ემთხვევა საქართველოს ან მისი ტერიტორიული ერთეულის არსებულ/ისტორიულ დასახელებას და არ არსებობს საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს თანხმობა. ხოლო „თ“ ქვეპუნქტში გაიწერა უარის თქმის საფუძველი ისეთი ნიშნებისთვის, რომელიც ემთხვევა გერბს, ემბლემას ან ორგანიზაციის ნიშანს, რომელიც არ არის დაცული 6^{ter} მუხლით, მაგრამ მისი დაცვის მიმართ საქართველოს ტერიტორიაზე არსებობს საჯარო ინტერესი და არ არსებობს შესაბამისი კომპეტენტური უწყების თანხმობა მისი გამოყენების თაობაზე.

კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ი“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულია რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველი ისეთი სასაქონლო ნიშნებისთვის, რომლებიც შეიცავს ან რომელიმე შემადგენელი ელემენტით ემთხვევა საქართველოში დაცულ მცენარის ახალი ჯიშის დასახელებას.

კანონის მე-4 მუხლის პირველ პუნქტს ემატება „კ“ ქვეპუნქტი, რომელიც ითვალისწინებს უარის თქმის საფუძველს სასაქონლო ნიშნებისთვის, რომლებიც შედგება მხოლოდ საქონლის ფორმის ან სხვა მახასიათებლისგან, რაც განპირობებულია საქონლის თვისებებით, ან/და აუცილებელია ტექნიკური შედეგის მისაღწევად, ან/და სძენს საქონელს არსებით ღირებულებას.

სასაქონლო ნიშნების რეგისტრაციაზე უარის თქმის შედარებითი საფუძვლების ევროკავშირის რეგულაციასთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, ცვლილებები შეეხო მე-5 მუხლს, კერძოდ, ამოღებულ იქნა „დ“ და „ზ“ ქვეპუნქტები, რომელიც ითვალისწინებდა სასაქონლო ნიშნების რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველს, თუ ის იდენტური ან მსგავსი იყო საქართველოში საყოველთაოდ ცნობილი ან რეპუტაციის მქონე სასაქონლო ნიშნის. აღნიშნული საკითხი ექსპერტიზის ეტაპზე ამ საფუძველზე მსჯელობისას ქმნიდა სირთულეებს. გარდა ამისა, აღნიშნული, ევროკავშირის რეგულაციის მიხედვით, გაწერილია გასაჩივრების საფუძვლებში. შესაბამისად, ცვლილებების პროექტით ეს ორი საკითხი მოწესრიგდება გასაჩივრებისა და რეგისტრაციის ბათილად ცნობის საფუძვლებში. ამ შემთხვევაში, სააპელაციო პალატის ან სასამართლოს მიერ მოხდება ამ საკითხების კომპლექსური ანალიზი, რომელიც დაეყრდნობა მხარეების მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების შესწავლას.

მე-5 მუხლის „ი“ ქვეპუნქტში არსებულ ჩანაწერს, რომელიც ითვალისწინებდა სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის შესაძლებლობას, თუ ის შეიცავდა საქართველოს ისტორიული ძეგლის დასახელებას ან გამოსახულებას – საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს თანხმობის გარეშე, დაემატა უარის თქმის შესაძლებლობა, ასევე, თუ ის შეიცავს მუზეუმის სრულ ან შემოკლებულ დასახელებას ან გამოსახულებას, ამასთან, დაზუსტდა ტერმინი - „ისტორიული ძეგლი“ და გაიწერა „კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი ან გამოსახურება“.

აღსანიშნავია, რომ მოქმედი კანონი არ ითვალისწინებს ადრინდელი პრიორიტეტის მქონე სასაქონლო ნიშნის/დიზაინის მფლობელის თანხმობის მხედველობაში მიღების შესაძლებლობას, შესაბამისად, მე-5 მუხლს დაემატება მე-2 პუნქტი, რომელიც ითვალისწინებს ადრინდელი პრიორიტეტის მქონე რეგისტრირებული ნიშნის/დიზაინის მფლობელის წერილობითი თანხმობის წარდგენის შესაძლებლობას, რაც გათვალისწინებული იქნება როგორც ექსპერტიზის, ასევე სააპელაციო საჩივრის განხილვის ეტაპზე. აღნიშნული ცვლილება განმცხადებლებს გაუადვილებს უფლებების მოპოვებას სასაქონლო ნიშნებზე რეგისტრაციის გზით.

კანონის მე-6 და მე-7 მუხლების რედაქცია, რომლებიც არეგულირებს განსაკუთრებულ უფლებასა და მის ფარგლებს, შესაბამისობაში მოვიდა ევროკავშირის რეგულაციასთან.

ცვლილებებით ორი თვიდან ერთ თვემდე მცირდება სასაქონლო ნიშნებზე ფორმალური ექსპერტიზის ჩატარების ვადები, რაც კიდევ ერთი წინ გადადგმული ნაბიჯია და დააჩქარებს რეგისტრაციის პროცედურებს, აღნიშნულიდან გამომდინარე ცვლილებები შეეხო კანონის მე-9 მუხლის მე-5 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტს, მე-11 მუხლის პირველ პუნქტს, მე-12 მუხლის მე-2 პუნქტს, ასევე, მე-13 მუხლის პირველ და მე-4 პუნქტებს.

კანონს ემატება მე-11¹ მუხლი, რომელიც წარმოადგენს მნიშვნელოვან ცვლილებას და ითვალისწინებს საქონლისა და მომსახურების კლასიფიცირებას ისეთი ფორმით, რომ შესაძლებელი იყოს მოთხოვნილი დაცვის ფარგლების ზუსტად და ცხადად განსაზღვრა.

კანონის 15¹ მუხლის მე-3 პუნქტში შედის ცვლილება, რომლის მიხედვითაც განმცხადებელს შესაძლებლობა ექნება სასაქონლო ნიშნის განაცხადის შეტანისას ან განაცხადის შეტანის შემდეგ ნებისმიერ დროს, მაგრამ არა უგვიანეს განაცხადის განსახილველად მიღების შესახებ შეტყობინების მიღებიდან 3 თვის ვადაში მოითხოვოს განაცხადზე დაჩქარებული ექსპერტიზის ჩატარება. აღნიშნული ცვლილება ემსახურება სასაქონლო ნიშნების რეგისტრაციის ეფექტიანი პროცედურის შემუშავებას, ასევე, დადებითი ეფექტი ექნება განსაკუთრებული უფლების წარმოშობისთვის და სამოქალაქო ბრუნვაში სწრაფად ჩართვის უზრუნველყოფისთვის.

ცვლილებები ეხება სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების სააპელაციო პალატაში გასაჩივრების საფუძვლებს, იზრდება პალატის უფლებამოსილება. კერძოდ, სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს იმავე საფუძვლებით, რომლითაც, მოქმედი კანონმდებლობით, მხოლოდ სასამართლოში შეიძლებოდა რეგისტრაციის ბათილად ცნობის მოთხოვნა, მაგალითად, თუ სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია მოხდა არაკეთილსინდისიერი განზრახვით. ზემოაღნიშნული ემსახურება პროცესის ეფექტიანობის უზრუნველყოფას, მოსარჩელეს აღარ მოუწევს დაელოდოს სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის ძალაში შესვლას და ამის შემდეგ გაასაჩივროს გადაწყვეტილება სასამართლოში, არამედ გადაწყვეტილება გასაჩივრებადი იქნება გამოქვეყნებისთანავე, რაც დააჩქარებს სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის პროცესს, რაც დადებითი ეფექტის მქონე იქნება კერძო სექტორისთვის და ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისთვის.

კანონს ემატება 19¹ მუხლი, რომელიც ითვალისწინებს სასაქონლო ნიშნის დაყოფას. აღნიშნული გულისხმობს სასაქონლო ნიშნის მფლობელის უფლებას სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის შემდეგ დაყოს სასაქონლო ნიშანი ორ ან მეტ იდენტურ სასაქონლო ნიშნად დამოუკიდებელი სარეგისტრაციო ნომრების მინიჭებით, იმ პირობით, რომ არ მოხდეს დაყოფილი სასაქონლო ნიშნების საქონლის ჩამონათვალს შორის გადაფარვა. შესაბამისად, სასაქონლო ნიშნის მფლობელს ეძლევა შესაძლებლობა, ერთი სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის ბაზაზე ფლობდეს ორ ან რამდენიმე დამოუკიდებელ იდენტურ სასაქონლო ნიშანს საქონლის სხვადასხვა ჩამონათვალისთვის, რომელსაც ფარავდა საბაზისო რეგისტრაცია. შესაბამისად, ეს ცვლილება მფლობელს გაუმარტივებს გზას განკარგოს მისი საკუთრება.

ცვლილებები შეეხო 26-ე მუხლის მე-8 პუნქტს, რომელიც, მოქმედი რედაქციისგან განსხვავებით, ითვალისწინებს განსაკუთრებული ლიცენზიის მფლობელის უფლებას სასაქონლო ნიშნის მფლობელის თანხმობის გარეშე აღძრას სარჩელი, იმ შემთხვევაში, თუ სასაქონლო ნიშნის მფლობელი შეტყობინების შემდეგ გონივრულ ვადაში თავად არ აღძრავს სარჩელს.

კანონის 27-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტს ემატება სასაქონლო ნიშნის მფლობელის ვალდებულება, რეგისტრაციის გაუქმებასთან ერთად წარმოადგინოს მტკიცებულება, რომ მან შეატყობინა ლიცენზიატს სასაქონლო ნიშნის გაუქმების

განზრახვის შესახებ, იმ შემთხვევაში, თუ სასაქონლო ნიშანზე რეგისტრირებულია სალიცენზიო ხელშეკრულება.

მნიშვნელოვანი ცვლილებები ეხება სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის ბათილად ცნობის საფუძვლებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, ახალი რედაქციით ჩამოყალიბდა 28-ე მუხლი. ცვლილებები გულისხმობს სასაქონლო ნიშნის ბათილად ცნობის საფუძვლების გაფართოებას.

ევროკავშირის რეგულაციასთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, სასაქონლო ნიშნების კანონს ემატება V¹ თავი, რომელიც არეგულირებს სასერტიფიკაციო ნიშანთან დაკავშირებულ დებულებებს. აღსანიშნავია, რომ საქართველოს კანონმდებლობა არ ითვალისწინებდა სასერტიფიკაციო ნიშნის ცნებას. აღნიშნული, ასევე, წარმოადგენს სიახლეს ევროკავშირის კანონმდებლობისთვისაც. ევროკავშირის რეგულაციაში ჩანაწერი სასერტიფიკაციო ნიშნების შესახებ გაჩნდა 2017 წლიდან. სასერტიფიკაციო ნიშანი წარმოადგენს სასაქონლო ნიშნის სახეს, რომელიც განასხვავებს სერტიფიცირებულ საქონელს არასერტიფიცირებული საქონლისაგან მასალის, წარმოების პროცესის, ხარისხის, სიზუსტის, მომსახურების შესრულების ან სხვა მახასიათებლების მიხედვით, გარდა საქონლის გეოგრაფიული წარმოშობისა. სასერტიფიკაციო ნიშნის მფლობელი შეიძლება იყოს ნებისმიერი ფიზიკური თუ იურიდიული პირი, მათ შორის, საჯარო სამართლის იურიდიული პირი. აღსანიშნავია, რომ თავად სასერტიფიკაციო ნიშნის მფლობელს არ აქვს უფლება გამოიყენოს სასერტიფიკაციო ნიშანი. სასერტიფიკაციო ნიშნის გამოყენება შეუძლია ნებისმიერ მწარმოებელს, რომელიც დააკმაყოფილებს სასერტიფიკაციო ნიშნის დებულებით განსაზღვრულ პირობებს. სასერტიფიკაციო ნიშნის დებულება უნდა განსაზღვრავდეს სასერტიფიკაციო ნიშნის გამოყენების უფლების მქონე პირებს, სასერტიფიკაციო ნიშნის გამოყენების პირობებს, საქონელს, სასერტიფიკაციო ნიშნის გამოყენებისათვის საჭირო პირობების შემოწმებისა და მისი გამოყენების მონიტორინგის წესებს და სანქციებს გამოყენების პირობების დარღვევისათვის.

მოქმედი კანონით, ნიშნების საერთაშორისო რეგისტრაციის მადრიდის შეთანხმების ოქმის საფუძველზე გავრცელებულ სასაქონლო ნიშნებზე ტარდება მხოლოდ არსობრივი ექსპერტიზა და არ მოწმდება საქონლის ჩამონათვალი. ცვლილებების პროექტით, კერძოდ, 41-ე მუხლის პირველი პუნქტით, გათვალისწინებულია ვალდებულება, რომლის მიხედვითაც, ექსპერტიზის ეტაპზე შემოწმდება საქონლის ჩამონათვალი, კერძოდ, წარდგენილია თუ არა სიზუსტისა და სიცხადის პრინციპების დაცვით.

კანონს ემატება 45¹ მუხლი, რომელიც არეგულირებს ურთიერთობას რეგისტრირებულ კონფლიქტურ სასაქონლო ნიშნებს შორის.

კანონპროექტის თანახმად, სასაქონლო ნიშნის მფლობელებმა და განმცხადებლებმა, რომელთა სასაქონლო ნიშნები საქპატენტში ამ კანონით გათვალისწინებული ცვლილებების ამოქმედებამდეა წარდგენილი ან რეგისტრირებული, და რომელთაც განაცხადში საქონლის ჩამონათვალი მითითებული აქვთ საერთაშორისო კლასიფიკატორის კლასების სათაურების სახით, უნდა დააზუსტონ საქონლის ჩამონათვალი და მიუთითონ ის საქონელი, რომელსაც არ მოიცავს საერთაშორისო კლასიფიკატორის სათაურში გამოყენებული საქონლის დასახელებების პირდაპირი მნიშვნელობა. ცვლილებების განხორციელებისთვის რაიმე საფასურის გადახდა არ მოხდება.

ა.დ) კანონპროექტის კავშირი სამთავრობო პროგრამასთან და შესაბამის სფეროში არსებულ სამოქმედო გეგმასთან, ასეთის არსებობის შემთხვევაში (საქართველოს მთავრობის მიერ ინიცირებული კანონპროექტის შემთხვევაში):

ასეთი არ არსებობს.

ა.ე) კანონპროექტის ძალაში შესვლის თარიღის შერჩევის პრინციპი, ხოლო კანონისთვის უკუძალის მინიჭების შემთხვევაში – აღნიშნულის თაობაზე შესაბამისი დასაბუთება:

კანონი, გარდა ამ კანონის პირველი მუხლის მე-11 პუნქტით გათვალისწინებული მე-16 მუხლის მე-4 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა, ამოქმედდება გამოქვეყნებისთანავე, ვინაიდან, მნიშვნელოვანია მისი დროული ამოქმედება. ხოლო კანონის პირველი მუხლის მე-11 პუნქტით გათვალისწინებული მე-16 მუხლის მე-4 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი ამოქმედდება ამ კანონის გამოქვეყნებიდან 6 თვის შემდეგ, ვინაიდან, საკითხი შეეხება სააპელაციო პალატაში გასაჩივრების ახალ საფუძვლებს, კერძოდ, ფართოვდება პალატის უფლებამოსილება, რისთვისაც საჭიროა დამატებითი ვადა შესაბამისი ღონისძიებების განსახორციელებლად. კანონპროექტი არ ითვალისწინებს კანონისთვის უკუძალის მინიჭებას.

ა.ვ) კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვის მიზეზები და შესაბამისი დასაბუთება (თუ ინიციატორი ითხოვს კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვას):

კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვა არ არის მოთხოვნილი.

ბ) კანონპროექტის ფინანსური გავლენის შეფასება საშუალოვადიან პერიოდში (კანონპროექტის ამოქმედების წელი და შემდგომი 3 წელი):

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

საჭიროების შემთხვევაში, კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებული ხარჯების დაფინანსების წყაროა საქპატენტის საკუთარი შემოსავლები და სახელმწიფო ბიუჯეტი.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

წარმოდგენილი ცვლილებებით ამოღებულია ჩანაწერი, რომელიც ითვალისწინებდა სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის შესაძლებლობას ისეთი სასაქონლო ნიშნების რეგისტრაციაზე, რომლებიც წარმოადგენდა ერთ არასტილიზებულ ასოს ან ციფრს, ან ცალკე აღებულ ფერს, ყოველივე ზემოაღნიშნული გზას გაუხსნის განმცხადებლებს მოითხოვონ ასეთი სიმბოლოების სასაქონლო ნიშნად რეგისტრაცია, რაც დაკავშირებულია საფასურის გადახდასთან, შესაბამისად, აღნიშნული დადებით გავლენას იქონიებს საქპატენტის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ცვლილების შედეგად კანონს, ასევე, ემატება სასაქონლო ნიშნის ახალი კატეგორია - სასერტიფიკაციო ნიშანი, რომლის რეგისტრაციისთვისაც გათვალისწინებული იქნება კანონმდებლობით განსაზღვრული რეგისტრაციის საფასური, საფასური განსაზღვრულ იქნება, ასევე, სასერტიფიკაციო დებულებაში ცვლილების შეტანისთვის, სასერტიფიკაციო ნიშანზე უფლებების გადაცემაზე, სასერტიფიკაციო ნიშანთან დაკავშირებით საქპატენტის გადაწყვეტილების სააპელაციო პალატაში გასაჩივრებაზე, რაც დადებით გავლენას მოახდენს საქპატენტის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ცვლილებებით გათვალისწინებულია საქპატენტთან არსებულ სააპელაციო პალატაში სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციასთან დაკავშირებით საქპატენტის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების ახალი საფუძვლები, რაც გამოიწვევს სააპელაციო საჩივრების ზრდას და პირდაპირპროპორციულად აისახება საქპატენტის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე, გავლენის ოდენობა დამოკიდებული იქნება საჩივრების რაოდენობაზე.

ცვლილებით, შესაძლებელი ხდება რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნის დაყოფა და გაერთიანება, რომელიც დაკავშირებულია კანონმდებლობით განსაზღვრული საფასურის გადახდასთან, რაც, ასევე, გავლენას იქონიებს საქპატენტის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ცვლილებით, ამოღებულია ჩანაწერი, რომელიც კრძალავდა კოლექტიური ნიშნის გადაცემას ან ამ ნიშანზე ლიცენზიის გაცემას, შესაბამისად, შესაძლებელი გახდება აღნიშნული ქმედებების განხორციელება, რაც დაკავშირებული იქნება კანონმდებლობით განსაზღვრული საფასურის გადახდასთან, რასაც, ასევე, გავლენას ექნება საქპატენტის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ცვლილებით განსხვავებულად რეგულირდება სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის განაცხადში საქონლის ჩამონათვალის მითითების საკითხი, ამასთან, უკვე რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნის მფლობელებს უფლება ეძლევათ დააზუსტონ საქონლის ჩამონათვალი, რის თაობაზეც, განცხადება საქპატენტში წარდგენილ უნდა იქნეს ცვლილებების ამოქმედებიდან არა უგვიანეს 5 წლისა. ცვლილებისთვის გათვალისწინებული იქნება საფასურის გადახდა, ამასთან, ცვლილებების ამოქმედებიდან 1 წლის ვადაში საქონლის ჩამონათვალის დაზუსტება განხორციელდება საფასურის გადახდის გარეშე. ამ ვადის გასვლის შემდეგ, საქონლის ჩამონათვალის დაზუსტებას გავლენა ექნება საქპატენტის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ცვლილებებით განმცხადებელს უფლება ეძლევა მოითხოვოს სხვადასხვა საქონლისათვის წარდგენილი იდენტური სასაქონლო ნიშნების ორი ან მეტი განაცხადის გაერთიანება. საქართველოს კანონმდებლობით აღნიშნული ქმედებისთვის ასევე გათვალისწინებული იქნება საფასური. შესაბამისად, აღნიშნულს ექნება დადებითი გავლენა საქპატენტის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე, ამასთან, განაცხადების გაერთიანების შედეგად, საქმისწარმოება ორი ან მეტი განაცხადის ნაცვლად, გაგრძელდება ერთი სასაქონლო ნიშნის განაცხადზე, რაც შეამცირებს სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის საფასურს, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს საქპატენტის შემოსავლების შემცირება.

ზემოაღნიშნული ქმედებებისთვის, საფასური განისაზღვრება „ინტელექტუალური საკუთრების ობიექტების დაპატენტებასთან, რეგისტრაციასთან და დეკლარაციასთან დაკავშირებული მომსახურების საფასურების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 3 ივლისის № 182-ე დადგენილებით. საქართველოს მთავრობამ 2024 წლის 1 იანვრამდე უნდა უზრუნველყოს აღნიშნული დადგენილების ამ კანონთან შესაბამისობაში მოყვანა.

ცვლილებით, ასევე განისაზღვრება განსაკუთრებული ლიცენზიის მფლობელის უფლებამოსილება სასაქონლო ნიშნის მფლობელის თანხმობის გარეშე აღძრას სარჩელი, თუ სასაქონლო ნიშნის მფლობელი, ოფიციალური შეტყობინების მიღების შემდგომ, გონივრულ ვადაში თავად არ აღძრავს სარჩელს.

ფართოვდება სასაქონლო ნიშნის მფლობელის განსაკუთრებული უფლების ფარგლები, კერძოდ სასაქონლო ნიშნის მფლობელს უფლება ეძლევა აკრძალოს სასაქონლო ნიშნის გამოყენება საფირმო სახელწოდებად ან მის ნაწილად.

ასევე, განისაზღვრება სასერტიფიკაციო ნიშნის მფლობელის უფლებამოსილება სასერტიფიკაციო ნიშნის გამოყენების უფლების მქონე პირების სახელით მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება სასერტიფიკაციო ნიშნის უნებართვო გამოყენებისათვის.

ზემოთ ჩამოთვლილი ცვლილების შედეგად, შესაძლოა გაიზარდოს სასამართლოში მიმართვიანობა, რაც დაკავშირებული იქნება სასამართლო ბაჟის გადახდასთან, შესაბამისად, დადებითი გავლენა ექნება სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო

ნაწილზე. გავლენის ოდენობა დამოკიდებული იქნება სარჩელებისა და ზიანის რაოდენობაზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

ცვლილებებით გათვალისწინებულია საქპატენტთან არსებულ სააპელაციო პალატაში სასაქონლო ნიშნის გადაწყვეტილების გასაჩივრების ახალი საფუძვლები, რაც გამოიწვევს სააპელაციო საჩივრების რაოდენობის ზრდას. აღნიშნულის მიუხედავად, კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს დამატებითი ხარჯების გამოყოფას. საჩივრების დიდი ოდენობით ზრდის გამო სააპელაციო პალატაში საკადრო რესურსის დამატების საჭიროების შემთხვევაში, დაფინანსება მოხდება საქპატენტის საკუთარი შემოსავლებიდან.

გარდა ამისა, კანონპროექტით გათვალისწინებული ცვლილების შედეგად, შესაძლოა გაიზარდოს სასამართლოს მიერ განსახილველ საქმეთა რაოდენობა, რაც განხორციელდება სასამართლოების არსებული რესურსის ფარგლებში და არ გამოიწვევს ხარჯების ზრდას.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები, კანონპროექტის გავლენით სახელმწიფოს ან მის სისტემაში არსებული უწყების მიერ მისაღები პირდაპირი ფინანსური ვალდებულებების (საშინაო ან საგარეო ვალდებულებები) მითითებით:

კანონპროექტი არ ითვალისწინებს სახელმწიფოს მხრიდან ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება, იმ ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე გავლენის ბუნებისა და მიმართულების მითითებით, რომლებზედაც მოსალოდნელია კანონპროექტით განსაზღვრულ ქმედებებს ჰქონდეს პირდაპირი გავლენა:

კანონპროექტის მიღება გამოიწვევს ფინანსურ შედეგებს იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება.

ცვლილებით, სავალდებულო მოთხოვნას აღარ წარმოადგენს სასაქონლო ნიშნის გრაფიკულად გამოსახვა, ასევე, ამოღებულია ჩანაწერი, რომელიც ითვალისწინებდა სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის შესაძლებლობას ისეთი სასაქონლო ნიშნების რეგისტრაციაზე, რომლებიც წარმოადგენდა ერთ არასტილიზებულ ასოს ან ციფრს, ან ცალკე აღებულ ფერს, ყოველივე ზემოაღნიშნული მისცემს შესაძლებლობას განმცხადებლებს მოითხოვონ ასეთი სიმბოლოების სასაქონლო ნიშნად რეგისტრაცია, რაც დაკავშირებულია კანონმდებლობით განსაზღვრული საფასურის გადახდასთან, გავლენა დამოკიდებული იქნება წარმოდგენილი განაცხადების რაოდენობაზე. თუმცა გასათვალისწინებელია, რომ სასაქონლო ნიშანი წარმოადგენს მისი მფლობელის ინტელექტუალურ საკუთრებას, რომელსაც თავისი ღირებულება გააჩნია. აქედან გამომდინარე, მართალია, განმცხადებლები სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის დროს იხდიან საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ საფასურს, თუმცა, სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის შემთხვევაში იძენენ ღირებულ არამატერიალურ აქტივსაც.

ცვლილებებით გათვალისწინებულია საქპატენტთან არსებულ სააპელაციო პალატაში სასაქონლო ნიშნის გადაწყვეტილების გასაჩივრების ახალი საფუძვლები, შესაბამისად, თუკი განმცხადებელი გადაწყვეტს ისარგებლოს აღნიშნული უფლებამოსილებით, მას ექნება ვალდებულება გადაიხადოს სააპელაციო საჩივრის განხილვისთვის გათვალისწინებული საფასური, რომელიც განსაზღვრული იქნება საქართველოს კანონმდებლობით. გასათვალისწინებელია, რომ პროექტით წარმოდგენილი

ცვლილებები ავტომატურად არ ახდენს გავლენას დაინტერესებულ პირზე (განმცხადებელზე, მესამე პირზე, სასაქონლო ნიშნის მფლობელზე), დაინტერესებული პირი თავად ირჩევს საკუთარი უფლების დაცვის გზას და მექანიზმს.

ცვლილების შედეგად კანონს ემატება სასაქონლო ნიშნის ახალი კატეგორია - სასერტიფიკაციო ნიშანი, რომელთან დაკავშირებულ ქმედებებზე განსაზღვრული იქნება საფასური. თუმცა, სასერტიფიკაციო ნიშნის რეგისტრაციის შესაძლებლობა ხელს შეუწყობს კერძო სექტორის განვითარებას, ვინაიდან, სასერტიფიკაციო ნიშნებით ნიშანდებული პროდუქცია გამოირჩევა მაღალი ხარისხით, რომელიც კონტროლდება სასერტიფიკაციო ნიშნის მფლობელის მიერ დადგენილი სტანდარტის შესაბამისად. აქედან გამომდინარე, ის პირები, რომლებიც გამოიყენებენ სასერტიფიკაციო ნიშანს, თავიანთ საქონელს უფრო მაღალი ღირებულებით განათავსებენ ბაზარზე.

ცვლილებით განსხვავებულად რეგულირდება სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის განაცხადში საქონლის ჩამონათვალის მითითების საკითხი, შესაბამისად, უკვე რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნის მფლობელებს უფლება ეძლევათ დააზუსტონ საქონლის ჩამონათვალი, რის თაობაზეც, განცხადება საქპატენტში წარდგენილ უნდა იქნეს ცვლილებების ამოქმედებიდან არა უგვიანეს 5 წლისა. ცვლილებისთვის კანონმდებლობით გათვალისწინებული იქნება საფასურის გადახდა, ამასთან, ცვლილებების ამოქმედებიდან 1 წლის ვადაში საქონლის ჩამონათვალის დაზუსტება განხორციელდება საფასურის გადახდის გარეშე.

ცვლილებით, განმცხადებელს უფლება ეძლევა მოითხოვოს სხვადასხვა საქონლისათვის წარდგენილი იდენტური სასაქონლო ნიშნების ორი ან მეტი განაცხადის გაერთიანება, რისთვისაც კანონმდებლობით განისაზღვრება განაცხადების გაერთიანების საფასურის გადახდა, ამასთან, განაცხადების გაერთიანების შედეგად საქმისწარმოება გაგრძელდება ერთი სასაქონლო ნიშნის განაცხადზე, რაც შემდგომში შეამცირებს სასაქონლო ნიშნის მფლობელის ხარჯს, ვინაიდან, მას მოუწევს მხოლოდ ერთი სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციასთან დაკავშირებული შემდგომი საფასურების გადახდა.

ცვლილებით, ამოღებულია ჩანაწერი, რომელიც კრძალავდა კოლექტიური ნიშნის გადაცემას ან ამ ნიშანზე ლიცენზიის გაცემას, ლიცენზიის გაცემის რეგისტრაცია დაკავშირებული იქნება კანონმდებლობით განსაზღვრული საფასურის გადახდასთან. თუმცა გასათვალისწინებელია, რომ ლიცენზირების შემთხვევაში უფლებამოსილი პირი იღებს შემოსავალს, რაც დადებითაც აისახება მის შემოსავალზე.

ცვლილებით, განისაზღვრება სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძვლები. რაც არ გამოიწვევს რაიმე სახის ფინანსურ შედეგებს იმ პირებისთვის, რომელთაც რეგისტრირებული აქვთ ისეთი სასაქონლო ნიშნები, რომელთა რეგისტრაციაც ცვლილების შემდეგ აღარ იქნება დასაშვები,

წინამდებარე პროექტით გათვალისწინებული ქმედებებისთვის საფასური განისაზღვრება „ინტელექტუალური საკუთრების ობიექტების დაპატენტებასთან, რეგისტრაციასთან და დეპონირებასთან დაკავშირებული მომსახურების საფასურების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 3 ივლისის № 182-ე დადგენილებით.

ცვლილებით, განისაზღვრება განსაკუთრებული ლიცენზიის მფლობელის უფლებამოსილება სასაქონლო ნიშნის მფლობელის თანხმობის გარეშე აღძრას სარჩელი, თუ სასაქონლო ნიშნის მფლობელი, ოფიციალური შეტყობინების მიღების შემდგომ, გონივრულ ვადაში თავად არ აღძრავს სარჩელს, რაც დაკავშირებული იქნება სასამართლო ბაჟის გადახდასთან, შესაბამისად, ექნება ფინანსური შედეგი დაინტერესებული პირისთვის.

ცვლილებით განისაზღვრება სასერტიფიკაციო ნიშნის მფლობელის უფლებამოსილება, სასერტიფიკაციო ნიშნის გამოყენების უფლების მქონე პირების სახელით მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება სასერტიფიკაციო ნიშნის უნებართვო გამოყენებისათვის. რასაც ექნება შესაბამისი ფინანსური შედეგი დაინტერესებული პირებისათვის. ზიანის ოდენობა განისაზღვრება სასამართლოს მიერ.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის (ფულადი შენატანის) ოდენობა შესაბამის ბიუჯეტში და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი:

კანონპროექტით არ დგინდება გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის (ფულადი შენატანის) ოდენობა შესაბამის ბიუჯეტში, თუმცა, განისაზღვრება საქართველოს მთავრობის ვალდებულება, რომ 2024 წლის 1 იანვრამდე უზრუნველყოს საქართველოს მთავრობის 2010 წლის 3 ივლისის №182 დადგენილების „ინტელექტუალური საკუთრების ობიექტების დაპატენტებასთან, რეგისტრაციასთან და დეპონირებასთან დაკავშირებული მომსახურების საფასურების დამტკიცების შესახებ“ ამ კანონთან შესაბამისობაში მოყვანა.

ბ¹) ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე კანონპროექტის ზეგავლენის შეფასება:

კანონპროექტი არ იქონიებს ზეგავლენას ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე.

ბ²) გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე კანონპროექტის მოსალოდნელი ზეგავლენის შეფასება:

კანონპროექტს არ ექნება მოსალოდნელი ზეგავლენა გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის სამართალთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის სამართალს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან და შეთანხმებებთან, აგრეთვე, ისეთი ხელშეკრულების/შეთანხმების არსებობის შემთხვევაში, რომელსაც უკავშირდება კანონპროექტის მომზადება, – მისი შესაბამისი მუხლი ან/და ნაწილი:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს. აგრეთვე, კანონპროექტის მიღება არ უკავშირდება რომელიმე ხელშეკრულებას/შეთანხმებას.

გ.დ) არსებობის შემთხვევაში, ევროკავშირის ის სამართლებრივი აქტი, რომელთან დაახლოების ვალდებულებაც გამომდინარეობს „ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, ევროკავშირისა და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ

სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებიდან“ ან ევროკავშირთან დადებული საქართველოს სხვა ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებებიდან:

ასეთი არ არსებობს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტი, სამუშაო ჯგუფი, რომელმაც მონაწილეობა მიიღო კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

კანონპროექტი მომზადდა EUIPO-სა და საქართველოს ერთობლივი პროექტის – “EUGIPP” ფარგლებში ინტელექტუალური საკუთრების ექსპერტების მიერ. პროექტი შეთანხმებულია საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციასთან და პატენტრწმუნებულებთან.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის/დაწესებულების, სამუშაო ჯგუფის, ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

დ.გ) სხვა ქვეყნების გამოცდილება კანონპროექტის მსგავსი კანონების იმპლემენტაციის სფეროში, იმ გამოცდილების მიმოხილვა, რომელიც მაგალითად იქნა გამოყენებული კანონპროექტის მომზადებისას, ასეთი მიმოხილვის მომზადების შემთხვევაში:

ასეთი მიმოხილვა არ მომზადებულა.

ე) კანონპროექტის ავტორი:

სსიპ - საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი – „საქპატენტი“.

ვ) კანონპროექტის ინიციატორი:

საქართველოს მთავრობა.